| $D \backslash \Omega$ | $\omega_1$  | $\omega_2$  | $\dots$ | $\omega_j$  | $\dots$ | $\omega_n$  |
|-----------------------|-------------|-------------|---------|-------------|---------|-------------|
| $d_1$                 | $f_{11}$    | $f_{12}$    | $\dots$ | $f_{1j}$    | $\dots$ | $f_{1n}$    |
| $d_2$                 | $f_{21}$    | $f_{22}$    | $\dots$ | $f_{2j}$    | $\dots$ | $f_{2n}$    |
| $\dots$               | $\dots$     | $\dots$     | $\dots$ | $\dots$     | $\dots$ | $\dots$     |
| $d_i$                 | $f_{i1}$    | $f_{i2}$    | $\dots$ | $f_{ij}$    | $\dots$ | $f_{in}$    |
| $\dots$               | $\dots$     | $\dots$     | $\dots$ | $\dots$     | $\dots$ | $\dots$     |
| $d_{m-1}$             | $f_{m-1,1}$ | $f_{m-1,2}$ | $\dots$ | $f_{m-1,j}$ | $\dots$ | $f_{m-1,n}$ |
| $d_l$                 | $f_{m1}$    | $f_{m2}$    | $\dots$ | $f_{mj}$    | $\dots$ | $f_{mn}$    |

ცხრილი №1: სიხშირული განაწილების ცხრილი (რიცხვით-ცხრილურ მონაცემთა ბაზა) დისკრიმინაციულ ანალიზში

აგებულ ინფორმაციულ მოდელში  $I$  - ინფორმაცია  $\Omega$ -ზე შეიცავს განუზღვრელობას თუ სიხშირეები ობიექტური მონაცემებიდან, ინფორმაციული ბაზებიდანაა აღებული, მაშინ განუზღვრელობა ალბათურია:  $I := I_2$ , ხოლო თუ სიხშირეები შეფასებულია ექსპერტული დაკითხვით, მაშინ განუზღვრელობა შესაძლებლობითია და  $I := I_3$ . არაა გამორიცხული კომბინირებული: ალბათურ-შესაძლებლობით განუზღვრელობის შემთხვევაც, როდესაც  $f_y$  სიხშირეების აგებისას სარგებლობენ როგორც ინფორმაციული ბაზებით, ასევე ექსპერტთა ფსიქომეტრიული დაკითხვით შექმნილი ინფორმაციული ბაზებითაც, მაშინ  $I = I_2 \cup I_3$ .

რაც შეეხება გმპ-ის  $u$  უპირატესობათა მნიშვნელობები წარმოადგენენ წვეტილურ სიხშირეებს. ე.ი.  $u := u_j$ . საბოლოოდ

\*) შესაძლებელია კომბინირებული შემთხვევაც, როდესაც სიხშირეთა განაწილების ცხრილი აგება როგორც ინფორმაციული ბაზების, ასევე ექსპერტთა ფსიქომეტრიული დაკითხვით მიღებული მონაცემებისგან.


$$(I; u) := (I_2; u_2) \vee (I_3; u_3) \vee (I_2 \cup I_3; u_2)$$

ცხრილი 1-ის საფუძველზე იქმნება ორი ახალი მატრიცა: დადებითი დისკრიმინანტისა  $P = \{p_{ij}\}$  და უარყოფითი დისკრიმინანტის  $N = \{n_{ij}\}$  მატრიცები [3].

$$p_{ij} = \frac{1}{CardD-1} \sum_{k=1, k \neq j}^m \mu_{L-R} \left( \frac{f_{ij}}{f_{kj}} \right),$$

$$n_{ij} = \frac{1}{CardD-1} \sum_{k=1, k \neq j}^m \mu_{L-R} \left( \frac{f_{ij}}{f_{kj}} \right), \quad (3)$$

სადაც  $i = 1, 2, \dots, n$ ;  $j = 1, 2, \dots, m$ ;  $\mu_{L-R}(\cdot)$  არის არაუარყოფითი რიცხვთა სიმრავლეზე “დიდი შეფარდების” (არამკაფიო სიმრავლის) შეთანხმებულობის ფუნქცია ( $\mu_{L-R}: R^+ \rightarrow [0, 1]$   $L-R = Large-Ratio$ )



ნახ. №1.  $\mu_{L-R}$ -ის გრაფიკი (სადაც  $A$  და  $B$  რიცხვები აიღება ექსპერიმენტის საუკეთესო შეთანხმებულობის პრინციპით)

დადებითი დისკრიმინანტა  $P_{ij}$  აღწერს დასაჯერებლობის ზომას იმისა, რომ  $w_j$  სიტუაცია (მდგომარეობა) თუ ფაქტორი უფრო მიმანიშნებელია, დამახასიათებელია  $d_i$  გადაწყვეტილების მიღებისას, ვიდრე სხვა რომელიმე გადაწყვეტილებისათვის!

უარყოფითი დისკრიმინანტა  $n_{ij}$  აღწერს დასაჯერებლობის ზომას იმისა, რომ  $w_j$  სიტუაცია (მდგომარეობა) თუ ფაქტორი ნაკლებად მიმანიშნებელია, დამახასიათებელია  $d_i$  გადაწყვეტილების მიღებისას, ვიდრე სხვა რომელიმე გადაწყვეტილებისათვის.

მეთოდის საკვანძო მომენტი შემდეგში მდგომარეობს: მას შემდეგ რაც შეიქმნება სინშირეთა რიცხვით-ცხრილური ცოდნის ბაზა და აიგება დადებითი ( $P$ ) და უარყოფითი ( $N$ ) დისკრიმინანტათა მატრიცები, მაშინ კონკრეტულ მოვლენაზე (სიტუაციათა თუ ფაქტორთა გარკვეული ნაწილის თანარსებობის შემთხვევაში) გადაწყვეტილების მიღების წინ შეიქმნება გარკვეული ფაქტორები (წარმოიშობა

გარკვეული სიტუაციები):  $\Omega' = \{w_{j_1}, w_{j_2}, \dots, w_{j_k}\}$ ,  $k \leq n$  ( $\Omega' \subseteq \Omega$ ). საჭიროა ასეთ სიტუაციებში (ფაქტორებზე) ცოდნის ბაზაზე დაყრდნობით შეირჩეს ყველაზე შესაძლო, სარწმუნო გადაწყვეტილება  $D$ -დან.


დისკრიმინაციური ანალიზის ავტორები [3] გეთავაზობენ შემდეგს: დადებითი და უარყოფითი დისკრიმინაციის მატრიცებიდან შეირჩეს მხოლოდ ის სვეტები, რომლებიც შეესაბამებიან  $\Omega'$ -ს ელემენტებს ( $j_1, j_2, \dots, j_k$  - სვეტები). გადაწყვეტილებად,  $D = \{d_1, d_2, \dots, d_m\}$  სიმრავლეზე ივება შესაძლებლობით განაწილება (არამკაფიო) ქვესიმრავლის სახით:

$$\delta_i = \frac{1}{2}(\mu_L(\pi_i) + \mu_S(v_i))^*, \quad i = 1, 2, \dots, m, \quad (4)$$

სადაც

$$\pi_i = \frac{1}{k} \sum_{j=1}^k p_{y_i}, \quad v_i = \frac{1}{k} \sum_{j=1}^k n_{y_i}, \quad (5)$$

ხოლო  $\mu_L$  ( $L := Large$ ) და  $\mu_S$  ( $S := Small$ ) წარმოადგენენ  $[0,1]$ -ზე განსაზღვრული არამკაფიო ქვესიმრავლეებს შესაბამისად "დიდი" და "პატარა" შეთანხმებულობის მკაცრად ზრდად და მკაცრად კლებად ფუნქციებს:



ნახ. 2.  $\mu_L$  და  $\mu_S$  შეთანხმებულობის ფუნქციათა სავარაუდო გრაფიკები.

როგორც  $\delta_i$ -ის განმარტებიდან ჩანს იგი ითვალისწინებს  $d_i$  გადაწყვეტილებისათვის უფრო დამახასიათებელ და ასევე მის მეტად უარყოფელ (ნაკლებად) დამახასიათებელ სიტუაციებს, მდგომარეობებს თუ ფაქტორებს ყველა სიტუაციათა, მდგომარეობათა თუ ფაქტორთა  $\Omega$  სიმრავლეში.

გადაწყვეტილების მიღებისას გამოვლენილი მდგომარეობების მაღალი დადებითი  $p_{y_i}$  დისკრიმინაციული ზომა იწვევს  $\delta_i$ -ს სწრაფ ზრდას. ანუ ასეთ სიტუაციებში  $d_i$  გადაწყვეტილების მიღების მაღალ, იოლ შესაძლებლობას. ხოლო მდგომარეობების მაღალი უარყოფითი  $n_{y_i}$  დისკრიმინაციული ზომა კი იწვევს  $\delta_i$ -ს მცირე ზრდას. ანუ ასეთ სიტუაციებში  $d_j$  გადაწყვეტილებათა მიღების შესაძლებლობა მცირდება. დაბოლოს გადაწყვეტილება  $d_k$ -ს, რომელიც  $\{\delta_i\}$

\*  $p_{y_i}$ ,  $n_{y_i}$  და  $n_{y_i}$  სიდიდეების კონკრეტული გამოსათვლელი ფორმულები იხ. §4-ში

განაწილებაში მოხალურ მნიშვნელობას ეთანადება შეიძლება ჩათვალოს ყველაზე სარწმუნო, იოლად შესაძლებელ გადაწყვეტილებად  $\Omega'$  ფაქტორთა თანაარსებობის პირობებში.

$$\delta_{i,j} = \max_{i,j} \delta_{i,j} \quad (6)$$

რაც ფაქტობრივ  $K$  კრიტერიუმის ფიქსირებას ნიშნავს მაქსიმალური შესაძლებლობის პრინციპის სახელწოდებით.

3. ღმსპრეზიდენტული ანალიზის რეალურად სინფორმაციური გადაწყვეტილებაში (სინფორმაციური ფორმის ერთი ამოცანის შესახებ). თუ საინვესტიციო ფონდს, ბანკს წარედგინება რომელიმე იურიდიული პირის მიერ ბიზნეს-გეგმა კრედიტის გამოყოფასთან დაკავშირებით, მაშინ ფონდის ექსპერტები იწყებენ იურიდიული პირის გარკვეული ფაქტორების, მდგომარეობების შემოწმებას, რომლებიც არსებითაა კრედიტის გასაცემად და რომლებიც შეიძლება გააჩნდეს იურიდიულ პირს, ან არ გააჩნდეს. ეთქვას, დასაშვებია ყველა ფაქტორთა სიმრავლეა (მას საინვესტიციო ფონდი განსაზღვრავს)  $\Omega = \{w_1, w_2, \dots, w_m\}$ , ხოლო იმ ფაქტორთა სიმრავლე, რომელიც აღმოაჩნდა მოცემულ იურიდიულ პირს კი  $\Omega' = \{w_{j_1}, w_{j_2}, \dots, w_{j_k}\}$ .

საინვესტიციო ფონდისთვის მნიშვნელოვან ფაქტორთა ჯგუფი

|                            |             |             |         |             |         |             |
|----------------------------|-------------|-------------|---------|-------------|---------|-------------|
| $\Omega \backslash \Delta$ | $\omega_1$  | $\omega_2$  | $\dots$ | $\omega_j$  | $\dots$ | $\omega_n$  |
| $d_1$                      | $f_{11}$    | $f_{12}$    | $\dots$ | $f_{1j}$    | $\dots$ | $f_{1n}$    |
| $d_2$                      | $f_{21}$    | $f_{22}$    | $\dots$ | $f_{2j}$    | $\dots$ | $f_{2n}$    |
| $\dots$                    | $\dots$     | $\dots$     | $\dots$ | $\dots$     | $\dots$ | $\dots$     |
| $d_i$                      | $f_{i1}$    | $f_{i2}$    | $\dots$ | $f_{ij}$    | $\dots$ | $f_{in}$    |
| $\dots$                    | $\dots$     | $\dots$     | $\dots$ | $\dots$     | $\dots$ | $\dots$     |
| $d_{m-1}$                  | $f_{m-1,1}$ | $f_{m-1,2}$ | $\dots$ | $f_{m-1,j}$ | $\dots$ | $f_{m-1,n}$ |
| $d_m$                      | $f_{m1}$    | $f_{m2}$    | $\dots$ | $f_{mj}$    | $\dots$ | $f_{mn}$    |

ცხრილი №2. სიზშირეთა რიცხვით-ცხრილური ცოდნის ბაზა საინვესტიციო გადაწყვეტილებებში.

ეთქვას, საინვესტიციო ფონდი აკეთებს გადაწყვეტილებებს კრედიტის გაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც განსხვავებულია არა თუ თანხების, არამედ პირობების გათვალისწინებითაც.

გადაწყვეტილებათა სიმრავლე აღვნიშნოთ  $D = \{d_1, d_2, \dots, d_m\}$ -ით.

ასეთი გარემოებიდან ჩანს დისკრიმინაციული ანალიზის გამოყენების შესაძლებლობა თუ აიგება სიზშირეთა რიცხვით-ცხრილური ბაზა.



რიცხვით-ცხრილური ცოდნის ბაზა შეიძლება შეიქმნას ორი გზით:

- ა) თუ არსებობს ინფორმაციული ბაზები უკვე (წარმატებულად) განხორციელებული საინვესტიციო პროექტებისა, მაშინ  $f_{ij}$  აღნიშნავს იმ გადაწყვეტილებათა წილს, რომლებიც  $w_j$  სიტუაციისა თუ ფაქტორის არსებობისას სწორი  $d_i$  გადაწყვეტილება იქნა მიღებული.
- ბ) თუ, არ არსებობს ა)-ში განხილული ინფორმაციული ბაზები ან არსებობს და მათი რაოდენობა (ბაზებში წარმატებულ პროექტთა რიცხვი) მცირეა, მაშინ  $f_{ij}$  სიხშირეები შეიძლება შეფასდეს დარგის ცნობილ ექსპერტთა ფსიქომეტრიული დაკითხვით. მაშინ  $f_{ij}$  იქნება იმ ექსპერტთა წილი, რომლებმაც სწორად მიიჩნიეს  $d_i$  გადაწყვეტილება თუ საინვესტიციო პროექტს გააჩნია  $w_j$  ფაქტორი. ტექნიკურად ცხრილი №2-ის შექმნა

შესაძლებელია შემდეგნაირად:

ინტერნეტის გამოყენებით ექსპერტებს დაევზავებათ ცხრილი 2-ის შაბლონები, რომლებშიც ყოველი ექსპერტი ჩაწერს 1-ებისა და 0-ების მიმდევრობებს. მაგალითად,  $(i,j)$  უჯრაში ჩაწერს 1-ს თუ ის თვლის, რომ იმ პროექტს, რომლის მიმართაც მიღებული იქნებოდა  $d_i$  გადაწყვეტილება გააჩნია  $w_j$  ფაქტორი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაიწერება 0.

| $\Delta \backslash \Omega$ | $\omega_1$ | $\omega_2$ | $\dots$ | $\omega_j$ | $\dots$ | $\omega_n$ |
|----------------------------|------------|------------|---------|------------|---------|------------|
| $d_1$                      | 1          | 0          | $\dots$ | 0          | $\dots$ | 1          |
| $d_2$                      | 0          | 1          | $\dots$ | 1          | $\dots$ | 0          |
| $\dots$                    | $\dots$    | $\dots$    | $\dots$ | $\dots$    | $\dots$ | $\dots$    |
| $d_l$                      | 0          | 1          | $\dots$ | 1          | $\dots$ | 0          |
| $\dots$                    | $\dots$    | $\dots$    | $\dots$ | $\dots$    | $\dots$ | $\dots$    |
| $d_{m-1}$                  | 0          | 1          | $\dots$ | 1          | $\dots$ | 0          |
| $d_m$                      | 1          | 1          | $\dots$ | 0          | $\dots$ | 1          |

ცხრილი №3. შაბლონის მაგალითი, რომელიც შეივსება ექსპერტის მიერ.

თუ ფსიქომეტრიულ დაკითხვაში მონაწილეობდა  $N$  ექსპერტი, მაშინ

$$f_{ij} = \frac{N_{ij}}{N}, \quad (7)$$

სადაც  $N_j$ ,  $N$ -დან იმ ექსპერტთა წილია, რომლებმაც “შხარი დაუჭირეს”  $d$ , გადაწყვეტილებას, თუ პროექტს “აჩნდებოდა”  $w_j$  ფაქტორი ( $f_j$ -ს უჯრაში ჩაწერეს ერთი).

ცხადია, ასეთი ცოდნის ბაზის აგება არაა რთული და იგი საჭიროებს მცირე დროს, თუ ექსპერტთა აქტიუობა იქნება მაღალი. ამავე დროს არაა საჭირო მათი ერთად შეკრება და სხვადასხვა ფინანსური დანახარჯების გაწევა, რომლებიც მათ მივიღებთთან ან სხვა გარემოებებთან იქნება დაკავშირებული. ისინი შეიძლება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწეობდნენ. ცხადია, გარანტირებული იქნება მათი ობიექტურობის მაღალი ხარისხიც და სრულიად გამოირიცხება მათი დამოკიდებულება კონკრეტული პროექტის განხილვის შემთხვევაში ( $M'$  ფაქტორების თანაარსებობა) არ საჭიროებს ექსპერტთა შეკრებას. იგი ეყრდნობა მათი ცოდნის ბაზას, რომელშიც ასახულია მათი ცოდნა, გამოცდილება და გათვალისწინებულია მათი ობიექტურობის მაღალი ხარისხიც. ასეთი შემთხვევებით  $M'$  ფაქტორებზე სისტემა გააკეთებს მაღალი დამაჯერებლობის მქონე გადაწყვეტილებას ( $d_4$ ).

**შენიშვნა 1.**  $D$  გადაწყვეტილებებში დასაშვებია ისეთი  $d$  გადაწყვეტილების არსებობაც, რომელიც გულისხმობს ყოველგვარ არაინვესტირებად გადაწყვეტილებას, ანუ უარის თქმას პროექტზე.

**შენიშვნა 2.**  $M$  ფაქტორებში დასაშვებია ისეთი  $w$  სიტუაცია, როცა პროექტიდან გამოდინარე იურიდიული პირი ითხოვს თანხას (თანხებს) კრედიტის სახით.

**შენიშვნა 3.** საერთოდ შეზღუდვები  $D$  და  $M$  წველზე არ არსებობს, ცხადი ხდება, რომ ამგვარი ინფორმაციული სისტემების არსებობა მენეჯერისათვის თანამედროვე ბიზნესში აქტუალურია, რადგან ის აღჭურვილი იქნება „ინსტრუმენტით“ – გადაწყვეტილების მიღების დამხმარე საექსპერტო სისტემით, რომელიც თავის გადაწყვეტილებას კონკრეტულ პროექტთან მიმართებაში გააკეთებს სწრაფად, დამოუკიდებელი ცოდნის ბაზაზე დაყრდნობით, რომელიც საბოლოოდ შეიძლება შედარდეს საინვესტიციო ფონდის კონკრეტულ „ექსპერტთა საბჭოს“ გადაწყვეტილებას, რამაც შეიძლება საბოლოოდ ამ უკანასკნელის „იმიჯის“ შეფასებამდეც მიიყვანოს მენეჯერი! (შემდგომში ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის ვისარგებლებთ ე.წ. ბმულობის ანალიზით).

4. შესაძლებლობითი დისკრიმინაციული ანალიზის შესახებ. ხშირ შემთხვევებში სიხშირული რიცხვით-ცხრილური ცოდნის ბაზის სანაცვლოდ იქნება ე.წ. შესაძლებლობითი რიცხვით-ცხრილური ცოდნის ბაზა (ცხრილი №4)\*:

\* შესაძლებლობითი რიცხვით-ცხრილური ცოდნის ბაზის აგება ექსპერტული მონაცემების გათვალისწინებით იხილეთ დანართში.



|                            |               |               |         |               |         |               |
|----------------------------|---------------|---------------|---------|---------------|---------|---------------|
| $\Delta \backslash \Omega$ | $\omega_1$    | $\omega_2$    | $\dots$ | $\omega_j$    | $\dots$ | $\omega_n$    |
| $d_1$                      | $\pi_1^1$     | $\pi_2^1$     | $\dots$ | $\pi_j^1$     | $\dots$ | $\pi_n^1$     |
| $d_2$                      | $\pi_1^2$     | $\pi_2^2$     | $\dots$ | $\pi_j^2$     | $\dots$ | $\pi_n^2$     |
| $\dots$                    | $\dots$       | $\dots$       | $\dots$ | $\dots$       | $\dots$ | $\dots$       |
| $d_i$                      | $\pi_1^i$     | $\pi_2^i$     | $\dots$ | $\pi_j^i$     | $\dots$ | $\pi_n^i$     |
| $\dots$                    | $\dots$       | $\dots$       | $\dots$ | $\dots$       | $\dots$ | $\dots$       |
| $d_{m-1}$                  | $\pi_1^{m-1}$ | $\pi_2^{m-1}$ | $\dots$ | $\pi_j^{m-1}$ | $\dots$ | $\pi_n^{m-1}$ |
| $d_m$                      | $\pi_1^m$     | $\pi_2^m$     | $\dots$ | $\pi_j^m$     | $\dots$ | $\pi_n^m$     |

ცხრილი №4. დისკრიმინაციული ანალიზის შესაძლებლობითი განაწილების ცხრილი.

სადაც,  $\pi_j^i$  არის შესაძლებლობა იმისა, რომ  $\omega_j$  ფაქტორის არსებობის პირობებში გმ-ის მიერ მიღებულ იქნეს  $d_i$  გადაწყვეტილება.

1) შესაძლებლობითი განაწილების ცხრილის აგების რამოდენიმე გზა არსებობს [7,8]. აქ მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითს.

თუ გმ-ის სარგებლიანობის ფუნქცია  $u \geq 0$ , მაშინ ყოველ სტრიქონს გაუკეთდება ნორმირება და

$$\pi_j^i = \frac{u_j}{\max_{j=1:n} u_j}. \quad (8)$$

2) თუ ცნობილია  $f_j$  სიხშირეები, მაშინ (8)-ის ანალოგიურად,

$$\pi_j^i = \frac{f_j}{\max_{j=1:n} f_j}, \quad (9)$$

თუ აგებულია შესაძლებლობითი განაწილების ცხრილი, მაშინ დისკრიმინაციული ანალიზის შესაძლებლობითი ვარიანტი ალგორითმულად შეიძლება ასე გამოიყურებოდეს.

1) შესაძლებლობითი განაწილების ცხრილი გარდაეკმნათ ალბათობრივ განაწილების ცხრილად ცნობილი ტრანსფორმაციის პრინციპით [4].

$\forall d_i$ -თვის ( $i=1,2, \dots, m$ ) ვთქვათ

$$\pi_{j_1}^i \geq \pi_{j_2}^i \geq \dots \geq \pi_{j_s}^i,$$

მაშინ  $\pi_j^i$  შესაძლებლობის შესაბამისი ალბათობა  $f_j^i$  ასე გამოისახება:

$$f_j^i = \sum_{t=1}^s \frac{1}{s} (\pi_{j_t}^i - \pi_{j_{t+1}}^i), \quad (10)$$



სადაც  $s=1,2,\dots,n$ ,  $\pi'_{s,i} = 0$ .

- 2) ეუბრუნდებით დისკრიმინაციული ანალიზის ამოცანას, როდესაც სიხშირეების სანაკვეთოდ გვაქვს ალბათური სკალა ყოველი  $d$ -თვის მიღებული შესაძლებლობითი განაწილებიდან.
- 3)  $D \times \Omega$ -ზე ვაგებთ დადებითი და უარყოფითი შესაძლებლობით დისკრიმინაციებს კონკრეტული შეთანხმებულობის დონეების გათვლით:

$$p_y = \frac{1}{n+1} \left\{ 1 + \sum_{f'_i < f'_j} (f'_j - f'_i)^{\alpha_1} + \frac{1}{1 + \sum_{f'_i > f'_j} (f'_j - f'_i)^{\alpha_2}} \right\},$$

$$n_y = \frac{1}{n+1} \left\{ 1 + \sum_{f'_i > f'_j} (f'_j - f'_i)^{\alpha_1} + \frac{1}{1 + \sum_{f'_i < f'_j} (f'_j - f'_i)^{\alpha_2}} \right\}, \quad \alpha_s > 0, s=1,2$$

**შენიშვნა:** თუ  $\pi'_i$  რიცხვები „თითქმის“ ერთი რიგის რიცხვებია, მაშინ  $p_y$  და  $n_y$  რიცხვების სიდიდეების „სპექტრალური გაშლისთვის“ სასურველია ავიღოთ  $\alpha_s < 1$  მნიშვნელობა ექსპერიმენტთან საუკეთესო შეთანხმების პრინციპით.

- 4) თუ კონკრეტული გადაწყვეტილების წინ ჩამოყალიბდა რაიმე  $\Omega' = \{w_{j_1}, w_{j_2}, \dots, w_{j_k}\}$  ფაქტორთა თანაარსებობა, მაშინ  $D$ -ზე აიგება დადებითი და უარყოფითი შესაძლებლობითი დისკრიმინაციები:

$$\pi_i = \frac{1}{k} \sum_{l=1}^k p_{y_l}, \quad v_i = \frac{1}{k} \sum_{l=1}^k n_{y_l}, \quad (\text{ან } \pi_i = \frac{\sum_{l=1}^k p_{y_l}}{\sum_{l=1}^k p_y}, \quad v_i = \frac{\sum_{l=1}^k n_{y_l}}{\sum_{l=1}^k n_y})$$

- 5)  $D$ -ზე აიგება შესაძლებლობითი განაწილება,  $\forall i=1,2,\dots,m$ :

$$\delta_i = \frac{1}{2} (\pi_i^\beta + (1-v_i)^\beta), \quad \beta > 0 \quad (\text{ან } \delta_i = \max\{\pi_i, 1-v_i\}).$$

**შენიშვნა:** თუ  $\pi_i$  და  $v_i$  რიცხვები თითქმის ერთი რიგის რიცხვებია, მაშინ  $\delta_i$  სიდიდეთა „სპექტრალური გაშლისთვის“ სასურველია ავიღოთ  $\beta < 1$  მნიშვნელობა ექსპერიმენტთან საუკეთესო შეთანხმების პრინციპით.

- 6)  $d_s$  გადაწყვეტილება, რომელსაც  $\{\delta_i\}$  შესაძლებლობით განაწილებაში გააჩნია მაქსიმალური მნიშვნელობა, ჩაითვლება ყველაზე სარწმუნო, შესაძლებელ გადაწყვეტილებად:

$$\delta_s = \max \delta_i$$

## 5. დანართი

საინჟინერო მონაცემებიდან შესაძლებლობით რიცხვით ცხრილში ცოდნის ბაზის აგება რ.იაგერის ალგორითმის გამოყენებით აკაპოვანის მსპარტონების თეორიის მიხედვით

I. გადაწყვეტილებებზე ფაქტორთა ჯგუფების შეთანხმებულობის დონების გამოვლენა მსპარტონის ფორმულიანი გამოქვეყნებით. ვთქვათ, ვაფიქსირებთ რაიმე  $d_i$  გადაწყვეტილებას და რომელიმე  $I_\ell$  ( $\ell = 1, 2, \dots, N$ ) ექსპერტს, რომელიც მოგვანდის გარკვეულ ცნობებს  $\Omega = \{w_1, w_2, \dots, w_n\}$  ფაქტორებზე აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში. ამ პუნქტში რ.იაგერის ცნობილი ალგორითმის [5] გამოყენებით  $\Omega$  -ზე ავაგებთ შესაძლებლობით განაწილებას

$$\{\pi'_1(\ell), \pi'_2(\ell), \dots, \pi'_n(\ell)\}, \quad (11)$$

სადაც  $\pi'_j(\ell)$  იქნება შესაძლებლობა იმისა, რომ  $w_j$  ფაქტორის არსებობის შემთხვევაში  $I_\ell$  ექსპერტის ცოდნის ბაზაზე დაყრდნობით მიღებულ იქნეს  $d_i$  გადაწყვეტილება.

შემოვიღოთ აღნიშვნა [5]:

$$P(w_j) \equiv P \text{ (რ. იაგერის ალგორითმში აირჩევა } w_j \text{ ელემენტი).}$$

თუ წინასწარ ცნობილია, რომ

$$\pi'_1(\ell) \leq \pi'_2(\ell) \leq \dots \leq \pi'_n(\ell), \quad (12)$$

მაშინ განიხილება წრფივი ალგებრული განტოლებათა სისტემა

$$\begin{aligned} \pi'_1(\ell) &= nP(w_1), \\ \pi'_2(\ell) &= (n-1)P(w_2) + P(w_1), \\ &\dots \\ \pi'_j(\ell) &= (n-j+1)P(w_j) + \sum_{s=1}^{j-1} P(w_s), \\ &\dots \\ \pi'_{n-1}(\ell) &= 2P(w_{n-1}) + \sum_{s=1}^{n-1} P(w_s), \\ \pi'_n(\ell) &= \sum_{s=1}^n P(w_s) = 1, \end{aligned} \quad (13)$$

რომელიც წარმოადგენს კავშირს შესაძლებლობით და ალბათურ განაწილებებს შორის რ. იაგერის ალგორითმში [5]. აქ მონტე-კარლოს მეთოდის გამოყენებით და ექსპერტების ფსიქომეტრიული დაკითხვით ფასდება  $\{P(w_j)\}_{j=1}^n$  ალბათური განაწილება და, მაშასადამე, (11) შესაძლებლობითი განაწილებაც.

ყოველ  $w_j$  ელემენტს შეესაბამება  $T_j$  სიდიდე, რომლის საწყისი მნიშვნელობა არის 0. ( $\forall j = 1, 2, \dots, n, T_j \equiv 0$ ). შემდგომში  $T_j$  ტოლი იქნება ქვემოთ მოყვანილ

პროცედურაში  $w_j$ -ს „განზორცილებათა“ რიცხვისა, ხოლო დიდ რიცხვთა კანონის გათვალისწინებით კი ჩაითვლება, რომ

$$P(w_j) \approx \frac{T_j}{M}, \quad j = 1, 2, \dots, n,$$

სადაც  $M$  ალგორითმში  $\Omega$ -ს ელემენტთა გათამაშების რიცხვია.

მოვიყვანოთ რ. იაგერის ალგორითმი.

1 ალგორითმში შერჩევის  $M$  განზომილების განსაზღვრა.

2.  $[0;1]$  ინტერვალის დაფიქსირება  $M$  რაოდენობა თანაბრად დაშორებულ წერტილებად:

$$S = \{\alpha_1, \alpha_2, \dots, \alpha_M\},$$

სადაც

$$\alpha_p = \frac{p}{M}, \quad p = 1, 2, \dots, M.$$

3.  $S$  სიმრავლიდან შემთხვევითად აირჩეს (დაბრუნების გარეშე) რომელიმე  $\alpha_p$  ელემენტი (გათამაშება შესრულებდა თანაბარი განაწილებით).

4. ფსიქომეტრიული დაკითხვის პუნქტი)  $I_\ell$  ექსპერტს, რომელიც განსაზღვრავს  $\pi'_j(\ell)$  შესაძლებლობით ზომებს, მოთხოვით, რომ ჩამოთვალოს  $\Omega$ -ს ყველა ის ელემენტი, რომლებიც, მისი აზრით, შეესაბამებიან შესაძლებლობითი განაწილების  $\alpha_p$  დონის კეთას.

ფორმალურად ეს შეიძლება ასე ჩაეწეროს:

$$w_j \in \Omega_{\alpha_p} \Leftrightarrow \pi'_j(\ell) \geq \alpha_p, \quad j = 1, 2, \dots, n.$$

5. თუ  $\Omega_{\alpha_p} \subset \Omega$  სიმრავლის ელემენტთა რიცხვია  $|\Omega_{\alpha_p}|$ , მაშინ ნებისმიერი  $w_j$  ფაქტორის  $\Omega_{\alpha_p}$ -ში „გამოჩენის“ ( $w_j \in \Omega_{\alpha_p}$ ) შემთხვევაში  $T_j$  სიდიდე გაიზარდოს  $\frac{1}{k}$  სიდიდით:

$$\text{თუ } w_j \in \Omega_{\alpha_p} \Leftrightarrow T_j = T_j + \frac{1}{|\Omega_{\alpha_p}|}.$$

6. გავიმეოროთ 3-5 ნაბიჯი  $M$ -ჯერ. ე.ი. მანამ, სანამ შემთხვევითი არჩევით (დაბრუნების გარეშე) არ ამოეწურავთ  $S$  სიმრავლეს.

7. შევაფასოთ  $P(w_j)$  ალბათობები

$$\hat{P}(w_j) = \frac{T_j}{M}, \quad j = 1, 2, \dots, n.$$

$P(w_j)$  შეფასებების (13)-ში ჩასმით მივიღებთ (11) შესაძლებლობითი განაწილების შეფასებასაც.



ბუნებრივია,  $M$ -ის ზრდასთან ერთად იზრდება შეფასების საიმედოობაც, თუმცა როგორც ამ მეთოდის ავტორი [5] ამბობს ზემოთ წარმოდგენილ მეთოდოლოგიას არ გააჩნია პრეტენზია ოპტიმალურობასა და შეფასების ერთადერთობაზე; იგი თვლის, რომ ზოგიერთი ექსპერტისათვის ემოციური თვალსაზრისით ფსიქომეტრიული დაკითხვისას ზემოთ მოყვანილი პროცედურა უფრო მისაღებია ვიდრე ის პროცედურა, რომელიც ექსპერტისაგან  $\pi'_j(\ell)$  შეთანხმებულობის დონეების „ღანიშვნას“ მოითხოვს. გასაგებია, რომ ეს უკანასკნელი ექსპერტს საკმაოდ „უხერხულ“ მდგომარეობაში აყენებს და მისი ცოდნის გამომდგენების შესაძლებლობას აკარგვინებს, მაშინ როდესაც რ. იაგერის პროცედურა თანმიმდევრულად, სისტემური თვალსაზრისით  $\alpha$  დონის კვების ელემენტების ჩამოთვლით იგივეს აკეთებს.

შეგნისით, რომ  $\alpha_1 > \alpha_2 \Rightarrow \Omega_{\alpha_1} \supseteq \Omega_{\alpha_2}$ , პირობა რ. იაგერის პროცედურაში ექსპერტს არ ავალდებულებს დაიცვას ეს მოთხოვნა, მაგრამ მისი პასუხები გარკვეული ზომით შეთანხმებული უნდა იყოს აღნიშნულ თვისებასთან, ამიტომ „ღიდი“ შეუთანხმებლობის შემთხვევაში საჭიროა ვთხოვით ექსპერტს გადახედოს მის შეფასებებს და გააკეთოს გარკვეული კორექტირება მას შემდეგ, რაც მას მივაწვდით ინფორმაციას მისი ექსპერტული შეფასებების შესახებ.

II. შესაძლებლობითი რიტხვით ცხრილში ცოდნის ბაზის აბეზა ა. კაუფმანის მასპარტონეზის თიორიის მისაღობაში. ყოველი  $I_\ell$  ( $\ell = 1, 2, \dots, N$ ) ექსპერტის შემთხვევაში მისი ცოდნის ბაზაზე რ. იაგერის ალგორითმით აიგება (11) შესაძლებლობითი განაწილებები. ვისარგებლებთ რა ა. კაუფმანის ექსპერტონების თიორიით [6]  $\{I_\ell\}_{\ell=1}^N$  ექსპერტთა ცოდნა აისახება (კონდენსირდება) ერთ შესაძლო განაწილებაში:

[0;1] ინტერვალში კვლავ დაყოფილია  $\alpha_0 = 0 \leq \alpha_1 \leq \alpha_2 \leq \dots \leq \alpha_M = 1$  სიდიდეებად,

$$\alpha_p = \frac{P}{M}, \quad P = 0, 1, 2, \dots, M.$$

ყოველი  $d_j$  გადაწვეტილებისათვის  $w_j$  ფაქტორის არსებობის შემთხვევაში ექსპერტონი ასე გამოითვლება [6]

$$E_{p_j}^{(j)} = \frac{1}{N} \sum_{\ell=1}^N \chi_{[\alpha_p; 1]}(\pi'_j(\ell)), \quad P = 0, 1, 2, \dots, M,$$

სადაც  $\chi$  აღნიშნავს  $[\alpha_p; 1]$  სეგმენტის ინდიკატორს.  $E_{p_j}^{(j)}$  ექსპერტონში  $\alpha_p$  დონის გათვალისწინებით ხდება ყველა ექსპერტზე  $\pi'_j(\ell)$  შესაძლებლობების გასაშუალება, ანუ მათი ცოდნის რაოდენობრივი აღწერის კონდენსირება. ამის შემდეგ ყოველი  $w_j$

ფაქტორისათვის, როდესაც მიიღება  $d$ , გადაწყვეტილება საშუალო ექსპერტონი ასე დაითვლება [6]:

$$\pi_j = \frac{1}{M+1} \sum_{p=0}^M E_{p_j}^j, \quad j=1,2,\dots,m; \quad j=1,2,\dots,n.$$

ამგვარად, აივო დისკრიმინაციული ანალიზის შესაძლებლობითი განაწილების ცხრილი №4.

4. Yamanli, K. I. (2007). Fuzzy Expert System for Investment Decision Making. In: Joint 17th World Congress and 20th NANN'S International Conference, Vancouver, USA, 2007.

5. Yager, R.R. (1981). On the Extension of the Theory of Possibility. Edited by Ronald R. Yager. John College Performance Press, 1982.

6. Kaufman, A. (1975). The Theory of the Extended Fuzzy Set and Systems. (1981988).

7. Sibilashvili, G., Sibilashvili, A. (2010). Fuzzy Expert System for Investment Decision Making. In: International Journal of Intelligent Systems and Knowledge-Based Systems, 2(2), 159-162.

8. Sibilashvili, G., Sibilashvili, A. (2010). Fuzzy Expert System for Investment Decision Making. In: International Journal of Intelligent Systems and Knowledge-Based Systems, 2(2), 159-162.

9. Sibilashvili, G., Sibilashvili, A. (2010). Fuzzy Expert System for Investment Decision Making. In: International Journal of Intelligent Systems and Knowledge-Based Systems, 2(2), 159-162.

10. Sibilashvili, G., Sibilashvili, A. (2010). Fuzzy Expert System for Investment Decision Making. In: International Journal of Intelligent Systems and Knowledge-Based Systems, 2(2), 159-162.

11. Sibilashvili, G., Sibilashvili, A. (2010). Fuzzy Expert System for Investment Decision Making. In: International Journal of Intelligent Systems and Knowledge-Based Systems, 2(2), 159-162.

12. Sibilashvili, G., Sibilashvili, A. (2010). Fuzzy Expert System for Investment Decision Making. In: International Journal of Intelligent Systems and Knowledge-Based Systems, 2(2), 159-162.

13. Sibilashvili, G., Sibilashvili, A. (2010). Fuzzy Expert System for Investment Decision Making. In: International Journal of Intelligent Systems and Knowledge-Based Systems, 2(2), 159-162.

14. Sibilashvili, G., Sibilashvili, A. (2010). Fuzzy Expert System for Investment Decision Making. In: International Journal of Intelligent Systems and Knowledge-Based Systems, 2(2), 159-162.

15. Sibilashvili, G., Sibilashvili, A. (2010). Fuzzy Expert System for Investment Decision Making. In: International Journal of Intelligent Systems and Knowledge-Based Systems, 2(2), 159-162.

16. Sibilashvili, G., Sibilashvili, A. (2010). Fuzzy Expert System for Investment Decision Making. In: International Journal of Intelligent Systems and Knowledge-Based Systems, 2(2), 159-162.

17. Sibilashvili, G., Sibilashvili, A. (2010). Fuzzy Expert System for Investment Decision Making. In: International Journal of Intelligent Systems and Knowledge-Based Systems, 2(2), 159-162.

18. Sibilashvili, G., Sibilashvili, A. (2010). Fuzzy Expert System for Investment Decision Making. In: International Journal of Intelligent Systems and Knowledge-Based Systems, 2(2), 159-162.

19. Sibilashvili, G., Sibilashvili, A. (2010). Fuzzy Expert System for Investment Decision Making. In: International Journal of Intelligent Systems and Knowledge-Based Systems, 2(2), 159-162.

20. Sibilashvili, G., Sibilashvili, A. (2010). Fuzzy Expert System for Investment Decision Making. In: International Journal of Intelligent Systems and Knowledge-Based Systems, 2(2), 159-162.

Note: that the trinity  $(I, a, K)$  is the system of decision-making  $(O, D, I, a, K)$ .



### ლიტერატურა

1. Shafer G. *A Mathematical Theory of Evidence*. Princeton University Press, Princeton, NJ, 1976.
2. სირბილაძე გ., მაცაბერიძე ბ. გადაწყვეტილების მიღების ანალიზი რისკის გარეშე. „უნივერსალი“, თბილისი, 2001, გვ. 75.
3. Norris D., Pilsworth B.W., Baldwin J.I. *Medical diagnosis from patient records – a method using fuzzy discrimination and connectivity analyses*. Fuzzy Sets and Systems 23(1987) 73-87.
4. Yamada K. *Probability-Possibility Transformation Based on Evidence Theory*. In: Joint IFSA World Congress and 20th NAFIPS International Conference, Vancouver, USA, 2001.
5. Yager R.R. *Множества уровня для оценки принадлежности нечетких подмножеств*. In: Fuzzy Set and Possibility Theory. Edited by Ronald R. Yager, Iona College Pergamon press, 1982.
6. Kaufman A. *Theory of experts and fuzzy logic*. Fuzzy Sets and Systems 28(1988) 295-304.
7. Sirbiladze G., Sikharulidze A. *Weighted fuzzy averages in fuzzy environment*. part I : Insufficient expert data and fuzzy averages, International Journal of Uncertainty, Fuzziness and Knowledge-based Systems, 2(2), 139-157.
8. Sirbiladze G., Sikharulidze A. *Weighted fuzzy averages in fuzzy environment*. part II: Generalized weighted fuzzy expected values in fuzzy environment, International Journal of Uncertainty, Fuzziness and Knowledge-based Systems, 2(2), 159-172.

Accepted for publishing on October 10, 2002.

Reviewed on December 15, 2002.

## DECISION-MAKING AIDING FUZZY INFORMATIONAL SYSTEMS IN INVESTMENTS

### PART I - DISCRIMINATION ANALYSIS IN INVESTMENT PROJECTS

G. Sirbiladze\*), A. Sikharulidze\*\*), G. Korakhashvili\*)

\*) Chair of Random Process Theory

\*\*) Computer Software and Informational Technologies chair

In the present work several methods of decision making are discussed, which can be applied to the concrete problems in business.

The discrimination analysis is the alternative of Bayesian inference method and constructs the numerical-tabular knowledge base; afterwards the fuzzy analysis is performed to establish

relationships between business states, situations, factors and those possible decisions which can arise in such situations.

In the investment problems, the numerical-tabular knowledge base can be constructed using informational bases of successfully performed investment projects, if such bases don't exist or number of projects is very low, then the knowledge base can be constructed using psychometrical questioning of experienced experts, using simple patterns which can be forwarded to experts by Internet. After the construction of knowledge base the positive and negative discrimination are calculated. They are used to establish rankings for and against each decision. The decision can be made by fixing the criteria of principle of maximum possibility.

In many situations instead of frequency numerical-tabular knowledge base, the so called possibilistic numerical-tabular knowledge base is constructed. Such possibilistic distribution table can be reformed to the probability distribution table using transformation principle[4]. Afterwards the positive and negative possibilistic discriminations are calculated. The correct decision is believed to be the one with maximum value in possibilistic distribution.

Some problems of decision-making we can represent as informational system:

$$(\Omega, D, I, U, K), \quad (1)$$

where,  $\Omega$  is non-empty set of system's states (situations, activities, factors, etc.)  $D$  is non-empty set of possible decisions,  $I$  is the existing information about system's states (their distribution)  $K : D \rightarrow R$  represents the criteria of decision-making person(D.M.P.), which is connected to some optimality of decision, and  $U$  is  $U : D \times \Omega \rightarrow R$  function, the estimations of advantages of decision-making person:

$u_1$  : The utility function or its alternation.

$u_2$  : The expected values of variable interesting to D.M.P.

$u_3$  : the frequency distribution constructed based on statistical information about states and possible decisions.

About the information  $I$  existing upon the set of states  $\Omega$  we can discuss following cases:

$I_1$  : The decision-making problem in definite environment, when the state which must realized is known before making decision.

$I_2$  : The decision-making problem in risk environment (the environment of probabilistic uncertainty), when the state which must realized is unknown, but the probability distribution on states is known.

$I_3$  : The decision-making problem in general uncertain environment, when no concrete information about states can be used, but some information about distributions of some subsets of states must exist. That is, D.M.P. must have the information about subsets of states (factors) which will eventually bring us the problem of constructing data body [1].

**NOTE.** The identification pair  $(I; U)$  and criteria  $K$  always represents some concrete case or problem, where the information  $I$  about states is fixed along with estimations  $U$  of advantages of D.M.P. and criteria. For example  $(I; U) := (I_2; u_1)$  that the problem is performed in risk environment with respect to situations, states and factors, and with activities of D.M.P. there exists the utility function  $u : D \times \Omega \rightarrow R$ . It is known that this classic problem can be solved using the utility theory of Neiman-Morgenstern[2], if we use the principle of maximum of expected utility as the criteria  $K$ .

Note, that the trinity  $(I, u, K)$  identifies the system of decision-making  $(\Omega, D, I, u, K)$ .



Let  $\Omega = \{w_1, w_2, \dots, w_n\}$  be the finite set of systems states, situation (factors), and  $D = (d_1, d_2, \dots, d_m)$  the finite set of possible decisions.

**The problem of discrimination analysis:** Construct informational decision-aiding expert system, where the numerical-tabular knowledge base is built using psychometrical questioning of experienced experts (business expert) or based on the data taken from the existing correct decisions made by them. By method the fuzzy analysis is performed to establish some relationships between some states, situations or factors of business and those possible decisions which can appear in such situations.

Very often the experts don't want or cannot represent their knowledge or experience as rules concerning the choice of decision. The incompleteness of rules is the major problem in such approach. Obviously, in such cases construction of decision-making system is hopeless and priority is given to construction of numerical-tabular knowledge base. The well-known decision-making systems using Bayes method are based on numerical-tabular bases. But here also exists the problems of collecting information, accumulation information. Large volume of information is needed to correctly establish relationships. The level of objectivity of experts may be another problem.

The discrimination analysis is alternative of Bayes method. It uses the numerical-tabular knowledge base, which can be constructed from informational bases. If this is not possible, then by contacting known experts the psychometrical questioning is performed to organize the gathered knowledge in numerical-tabular base.

In quarter 2 discrimination analysis is viewed as aiding instrument in decision-making in investments. In quarter 3 one problem of investment fund is discussed, which is solved using discrimination analysis. Its possibilistic generalization is discussed in quarter 4, where new measures of positive and negative discrimination are presented.

In Appendix (quarter 5) the scheme of construction of numerical tabular knowledge base from subjective expert information is discussed using Yager's algorithm.

To condense the expert knowledge base the main model of expertons method of E.Kaufman is describes, where eventually the possibilistic distribution is constructed.



## გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობი არამკაშირი ინფორმაციული სისტემების ინვესტიციებში

### ნაწილი II – დემსტერ-შიფერის მოსალოდნელი სარგებლიანობა სინევისტიციური გადაწყვეტილებაში

გ. სარბილაძე, ვ. ხაჩიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
შემოსულობების მართვის ფაკულტეტი

**Abstract.** A general model for decision problems is presented, based on the consideration of an evidence given by a basic probability assignment, which is the information about states (situations, factors) of nature. Decision rules are defined in two steps by means of a composition of two functions.

Firstly, the lower and upper expected values provide limits to the expected utility value for each decision. The function of the second step reflects the decision-maker's subjectivity and lets us model it between these two boundaries by means of a convex combination. The relationships between evidences and fuzzy measures are shown in section and some relevant properties of lower and upper expected values are proved in section 2. In section 3, a definition of inclusion relation on the set of evidences is used to study existing relations among results which can be obtained from different basic probability assignments, and finally, we show the way in which our model includes the most classical criteria, such as min-max or mathematical expectation criteria in uncertainty or risk environments etc.

შესაბამისი განვიხილოთ გადაწყვეტილების მიღების  $(\Omega, D, I, u, K)$  ინფორმაციული სისტემა (იხ. სტატიის I ნაწილის შესავალი) ზოგად განუზღვრელ გარემოში  $(I = I_2)$ , სადაც  $I$  ინფორმაცია ფლობს  $\Omega$ -ზე მონაცემთა ტანს  $m$  ფოკალური ალბათობის სახით [1], ხოლო გმპ-ის უპირატესობათა შეფასებები წარმოადგენს სარგებლიანობის ფუნქციას:  $u: D \times \Omega \rightarrow R$ , ე.ი.  $(I, u) = (I, u_1, \dots, u_m)^*$

შიფერის ცნობების მათემატიკური თეორიის ფარგლებში [1,2], ქვედა და ზედა მათემატიკური მოლოდინის ტერმინებში განისაზღვრება გადაწყვეტილების მიღების პრინციპი, რომელსაც დემსტერ-შიფერის მოსალოდნელი სარგებლიანობის მაქსიმუმის პრინციპს უწოდებთ. ამით ჩამოყალიბდება კრიტერიუმი და  $(I, u, K)$  სამეული ცალსახად ასახავს გადაწყვეტილების მიღების ამოცანას ზოგად განუზღვრელ გარემოში.

შევნიშნოთ რომ ყოველი  $d_i$  ( $i = 1, 2, 3, \dots, m$ ) გადაწყვეტილება ასეთ შემთხვევაში შეიძლება წარმოვიდგინოთ  $\bar{u}_i$  სარგებლიანობის ვექტორის სახით:

$$d_i \leftrightarrow \bar{u}_i = (u_{i1}, u_{i2}, \dots, u_{im}) \in R^m, \quad (i = 1, 2, \dots, m) \quad (1)$$

სადაც  $u_{ij}$  აღნიშნავს გმპ-ის სარგებლიანობის მნიშვნელობას  $\omega_j$  ფაქტორის, სიტუაციისა თუ მდგომარეობის შემთხვევაში, თუ იგი მიიღებდა  $d_i$  გადაწყვეტილებას. მთელი პრობლემა მდგომარეობს  $R^m$ -ში (1) სახის ვექტორების დალაგებაში ანუ მოიძებნოს ისეთი  $\varphi: R^m \rightarrow R^1$  ფუნქცია რომ  $d_p$  ჩაითვალოს უკეთეს გადაწყვეტილებად, ვიდრე  $d_q$  ( $d_p \succeq d_q$ ) მაშინ და მხოლოდ მაშინ თუ  $\varphi(\bar{u}_p) \geq \varphi(\bar{u}_q)$ ,

$$d_p \succeq d_q \Leftrightarrow (u_{p1}, u_{p2}, \dots, u_{pm}) \succeq (u_{q1}, u_{q2}, \dots, u_{qm}) \Leftrightarrow \varphi(\bar{u}_p) \geq \varphi(\bar{u}_q). \quad (2)$$

\* ფოკალური ალბათობის აგების სქემა მონაცემთა ბაზებიდან იხ. პარაგრაფ 4-ში, ხოლო  $u$  სარგებლიანობის შეფასების მეთოდები მრავალადა ლიტერატურაში. მაგ. იხ. [3].

რადგან  $I$  ინფორმაცია წარმოდგენილია მონაცემთა ტანის  $m$  ფოკალური ალბათობით, ამიტომ ფუნქციის მოძიების ამოცანას დავეყოფთ ორ ეტაპად:

1) ავაგოთ  $f: R^n \Rightarrow R^2$  ფუნქცია რომ

$$f(u_1, u_2, \dots, u_m) = (E \cdot (\bar{u}_i/m), E^* (\bar{u}_i/m)), \quad (3)$$

სადაც,  $E$ , და  $E^*$  დემსტერის შესაბამისად ქვედა და ზედა მათემატიკური მოლოდინებია  $m$ -ფოკალური ალბათობის მიმართ [1].

2) გვა-ის პოზიციებიდან გამოვძინარე ავაგოთ ისეთი  $h: R^2 \rightarrow R^1$  ფუნქცია, რომელიც სრულად წარმოადგენს უ-სარგებლიანობის უპირატესობებს  $d_1, d_2, \dots, d_m$  გადაწვეტილებების მიმართ, ანუ

$$\varphi = h \circ f. \quad (4)$$

1. წინასწარი წარმოდგენა. ამ პარაგრაფში წარმოდგენილი იქნება შეიფერის მონაცემთა მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი განმარტებები, ასევე დემსტერის ქვედა და ზედა მოლოდინების ზოგიერთი, მათ შორის ახალი თვისებებიც.

**განმარტება 1** [4-5]:  $\Omega = \{\omega_1, \omega_2, \dots, \omega_n\}$  სასრულ სიმრავლეზე არამკაფიო ზომის ეწოდება:

$$g: 2^\Omega \Rightarrow [0;1]$$

ისეთ ასახვას, რომ

$$g(\emptyset) = 0, \quad g(\Omega) = 1,$$

თუ  $A \subset B$ ,  $g(A) \leq g(B)$ , სადაც  $2^\Omega - \Omega$ -ს ყველა ქვესიმრავლეთა სიმრავლეა.

**განმარტება 2** [4] ვთქვათ  $g$  არამკაფიო ზომა  $\Omega$ -ზე.  $g^*: 2^\Omega \Rightarrow [0,1]$  არამკაფიო ზომის ეწოდება  $g$ -ს დუალური თუ  $\forall A \in 2^\Omega$ :

$$g^*(A) = 1 - g(\bar{A}). \quad (5)$$

შეიფერის მონაცემთა მათემატიკური თეორიის თანახმად,  $\Omega$ -ზე ტანი შეიძლება აღიწეროს ეწ. საბაზისო ალბათური განაწილების (საგ) მეშვეობით.

**განმარტება 3** [1]  $\Omega$ -ზე საბაზისო ალბათური განაწილება ეწოდება ასახვას:

$$m: 2^\Omega \Rightarrow [0,1] \quad (6^2)$$

შემდეგი მოთხოვნებით:

$$(i) \quad m(\emptyset) = 0, \quad (6^1)$$

$$(ii) \quad \sum_{A \in 2^\Omega} m(A) = 1. \quad (6^3)$$

**განმარტება 4** [1] ვთქვათ,  $m$  საგ-ა  $\Omega$ -ზე.  $m$ -ით ასოცირებული ნდობის ზომა ეწოდება არამკაფიო ზომას

$$Pl(A) = \sum_{A \subseteq B \neq \emptyset} m(B), \quad \forall A \in 2^{\Omega}, \quad (7)$$

და  $m$ -ით ასოცირებული დასაჯერებლობის ზომას ეწოდება არამკაფიო ზომას:

$$Bel(A) = \sum_{B \subseteq A} m(B), \quad \forall A \in 2^{\Omega}. \quad (8)$$

საგ-ს, ანუ  $m$ -ს ხშირად ფოკალურ აღმათურ განაწილებას უწოდებენ  $2^{\Omega}$ -ზე, ხოლო  $2^{\Omega}$ -ს იმ ელემენტებს, რომელთათვისაც  $m(A) > 0$  ფოკალურ სიმრავლეებს უწოდებენ. ვთქვათ,  $\mathfrak{F} = \{A : A \in 2^{\Omega}, m(A) > 0\}$ -ყველა ფოკალურ სიმრავლეთა ერთობლიობაა. წყვილს  $(\mathfrak{F}, m)$ -მონაცემთა ტანს ეწოდება [1].

**ბანმარტეზა 5.** ვიტყვი, რომ  $\Omega$ -ზე ჩამოყალიბებულია ზოგადი ვანუზერელი გარემო თუ  $I$  ინფორმაცია  $\Omega$ -ზე ელემენტების განაწილების შესახებ წარმოდგენილია  $(\mathfrak{F}, m)$  მონაცემთა ტანის სახით.

ვთქვათ,  $\Omega$ -ზე მოცემულია მონაცემთა ორი ტანი:  $(\mathfrak{F}_1, m_1)$  და  $(\mathfrak{F}_2, m_2)$ . მნიშვნელოვანია ის პირობები, როცა ერთი ტანი მოიცავს მეორეს. უფრო ზუსტად კი  $(\mathfrak{F}_1, m_1) \subseteq (\mathfrak{F}_2, m_2)$  მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ ცოდნა (ცნობა)  $\forall \omega \in \Omega$ -თვის, რომელსაც ფლობს  $(\mathfrak{F}_1, m_1)$  მონაცემთა ტანი, ნაკლებად ზუსტია (ნაკლებად ინფორმაციულია) ვიდრე  $(\mathfrak{F}_2, m_2)$  მონაცემთა ტანი. ზუსტი ფორმულირება შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

**ბანმარტეზა 6.** ვიტყვი, რომ მონაცემთა ტანი  $(\mathfrak{F}_1, m_1)$  ასოცირებული  $m_1$  ფოკალური აღმათობით შედის  $(\mathfrak{F}_2, m_2)$  მონაცემთა ტანში ასოცირებული  $m_2$  ფოკალური აღმათობით,

$$(\mathfrak{F}_1, m_1) \subseteq (\mathfrak{F}_2, m_2) \Leftrightarrow m_1 \subseteq m_2, \quad (9)$$

თუ  $\forall A \subseteq \Omega \exists m_A : 2^{\Omega} \Rightarrow [0,1]$ -ფოკალური აღმათობა, რომ

$$m_1(A) = \sum_{B \subseteq A} m_A(B) \text{ და } m_2(B) = \sum_{B \subseteq A} m_A(B). \quad (10)$$

ეს განმარტება ეფუძნება იმ ინტუიციურ წარმოდგენას, რომელიც გამომდინარეობს იქიდან, რომ  $\forall \omega \in \Omega$  ელემენტის შესახებ აკუმულირებული, შეგროვებული ინფორმაცია, რომელიც შეთანხმებულია წინასწარ არსებულ ინფორმაციასთან უნდა გამომდინარეობდეს  $(\mathfrak{F}_1, m_1)$  მონაცემთა ტანის  $(\mathfrak{F}_2, m_2)$  მონაცემთა ტანით ატომიზაციაში (დანაწილებაში). ადვილი საჩვენებელია შემდეგი გამომდინარეობა:

$$m_1 \subseteq m_2 \Rightarrow \begin{cases} P_1(A) \geq P_2(A), \\ Bel_1(A) \leq Bel_2(A) \end{cases} \quad \forall A \in 2^{\Omega}. \quad (11)$$

2. დეშტიაროს ჟეჟა და ზეჟა მათემატიკური მოლოდინეჟი და მათი თიხიხეჟი. 1967 წელს დემსტერმა [2] წარმოადგინა ფუნქციის ქველა და ზელა მათემატიკური მოლოდინების კონცეფციი ზომის მიმართ, რომელიც შემთხვევითი სიდიდის მათემატიკური ლოდინის განზოგადოებას წარმოადგენს. თუმცა 1981 წელს ეს იდეა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

განმარტება 7. [6] ეთქვას,  $h: \Omega \rightarrow R$  რაიმე ფუნქციი, ხოლო  $m$  რაიმე სვ.-ია  $\Omega$ -ზე.  $h$ -ფუნქციის ქველა და ზელა მათემატიკური მოლოდინები  $m$  ფოკალური ალბათობის მიმართ ეწოდება შესაბამისად:

$$E_*(h/m) = \sum_{A \subset \Omega} m(A) \inf_{\omega \in A} h(\omega), \quad (12)$$

$$E^*(h/m) = \sum_{A \subset \Omega} m(A) \sup_{\omega \in A} h(\omega).$$

სიდიდეებს.

შეგნიშნოს, რომ თუ  $m$  ფოკალური ალბათობა ალბათური განაწილებაა  $\Omega$ -ზე ( $m_p = m$ ;  $m_p(\{\omega\}) = p(\omega)$ ), ანუ ფოკალური სიმრავლეები  $\mathfrak{A}$ -ში მხოლოდ ერთ ელემენტური სიმრავლეჟია, მაშინ

$$E_*(h/m) = E^*(h/m) = \int h dp = E(h).$$

ეი თუ ფოკალური ალბათობა კლასიკური ალბათური განაწილებაა  $\Omega$ -ზე, მაშინ  $h$  ფუნქციის ქველა და ზელა მათემატიკური მოლოდინები თანხედებიან და ტოლია მათემატიკური მოლოდინისა  $\Omega$ -ზე.

განვიხილოთ  $E_*$  და  $E^*$  სიდიდეთა ზოგიერთი მნიშვნელოვანი თვისებები:

მტკიცებულება 1. თუ  $h_1$  და  $h_2$  არაუარყოფითი ფუნქციებია  $\Omega$ -ზე, მაშინ

$$E^*(h_1 + h_2/m) \leq E^*(h_1/m) + E^*(h_2/m)$$

$$E_*(h_1 + h_2/m) \geq E_*(h_1/m) + E_*(h_2/m).$$

დამტკიცება. (ვაჩვენოთ I უტოლობა. მეორე დამტკიცება ანალოგიურად). განვიხილოთ

$$\begin{aligned} E^*(h_1 + h_2/m) &= \sum_{A \subset \Omega} m(A) \max_{\omega \in A} (h_1(\omega) + h_2(\omega)) \leq \\ &\leq \sum_{A \subset \Omega} m(A) \max_{\omega \in A} (h_1(\omega)) + \sum_{A \subset \Omega} m(A) \max_{\omega \in A} (h_2(\omega)) = \\ &= E^*(h_1/m) + E^*(h_2/m) \end{aligned}$$

მტკიცებულება 2. თუ  $b \in R$  და  $h: \Omega \rightarrow R$  რაიმე ფუნქციი, მაშინ

$$E^*(bh/m) = \begin{cases} bE^*(h/m), & b \geq 0 \\ bE_*(h/m), & b < 0 \end{cases} \quad E_*(bh/m) = \begin{cases} bE_*(h/m), & b \geq 0 \\ bE^*(h/m), & b < 0. \end{cases}$$

$$\leq (\alpha) \text{კავშირები } \left[ \left( \beta \right), m \sum_{A \in \Omega} \chi_A = (\alpha) \text{კავშირები } \left[ \left( \beta \right), m \sum_{A \in \Omega} \chi_A \right] \chi_A = (\alpha) \text{კავშირები } \left( \beta \right), m \sum_{A \in \Omega} \chi_A \right]$$

**ღამტკიცება.** თუ  $b \geq 0$ , მაშინ მტკიცება მარტივია. განვიხილოთ  $b < 0$  შემთხვევა:

$$E^*(bh/m) = \sum_{A \in \Omega} m(A) \max_{\omega \in A} (bh(\omega)) = - \sum_{A \in \Omega} m(A)(-b) \min_{\omega \in A} h(\omega) = bE(h/m).$$

**შტკიცებულება 3.** თუ  $h_1, h_2 : \Omega \rightarrow R$  რაიბე ფუნქციებია და  $h_1(\omega) \leq h_2(\omega) \forall \omega \in \Omega$ , მაშინ  $E^*(h_1/m) \leq E^*(h_2/m)$ .

**ღამტკიცება.** ვინაიდან  $\forall A \subset \Omega, m(A) \geq 0$  და  $\max_{\omega \in A} h_1(\omega) \leq \max_{\omega \in A} h_2(\omega)$ ,  $\min_{\omega \in A} h_1(\omega) \leq \min_{\omega \in A} h_2(\omega)$ , ამიტომ უტოლობები ტრივიალურად მტკიცდება.

**შტკიცებულება 4.** თუ  $h_1, h_2 : \Omega \rightarrow R$  რაიბე ფუნქციებია, მაშინ

$$E^*(h_1 \vee h_2 / m) \geq \max\{E^*(h_1/m), E^*(h_2/m)\}$$

$$E_*(h_1 \vee h_2 / m) \geq \max\{E_*(h_1/m), E_*(h_2/m)\}.$$

**ღამტკიცება.** რადგან  $h_1 \vee h_2 \geq h_1$  და  $h_1 \vee h_2 \geq h_2$ , ამიტომ მტკიცებულება 3-ის ძალით სამართლიანი იქნება მტკიცებულება 4-იც.

**შტკიცებულება 5.** თუ  $h_1, h_2 : \Omega \rightarrow R$  რაიბე ფუნქციებია, მაშინ

$$E^*(h_1 \wedge h_2 / m) \leq \min\{E^*(h_1/m), E^*(h_2/m)\}$$

$$E_*(h_1 \wedge h_2 / m) \leq \min\{E_*(h_1/m), E_*(h_2/m)\}.$$

**ღამტკიცება.** ვინაიდან  $h_1 \wedge h_2 \leq h_1$  და  $h_1 \wedge h_2 \leq h_2$ , ამიტომ მტკიცებულება 3-ის ძალით სამართლიანი იქნება მტკიცებულება 5-იც.

**შტკიცებულება 6.** თუ  $h_1, h_2 : \Omega \rightarrow R$  რაიბე ფუნქციებია, მაშინ

$$E^*(h_1 \vee h_2 / m) \geq E^*(h_1 \wedge h_2 / m) \geq E_*(h_1 \wedge h_2 / m)$$

$$E^*(h_1 \vee h_2 / m) \geq E_*(h_1 \vee h_2 / m) \geq E_*(h_1 \wedge h_2 / m).$$

**ღამტკიცება.** მტკიცებულება ცხადია ისეე მტკიცებულება 3-ის გათვალისწინებით, რადგან  $E^*(h/m) \geq E_*(h/m)$  და  $h_1 \wedge h_2 \leq h_1 \vee h_2$ .

**შტკიცებულება 7.** ვთქვათ  $(\mathfrak{F}_1, m_1) \subset (\mathfrak{F}_2, m_2)$  მანაკებთა ორი ტანია  $\Omega$ -ზე და

$$h : \Omega \rightarrow R \text{ რაიბე ფუნქციაა, მაშინ } E^*(h/m_1) \geq E^*(h/m_2), \quad E_*(h/m_1) \geq E_*(h/m_2).$$

**ღამტკიცება.** განვიხილოთ

$$\begin{aligned}
 E^*(h/m_1) &= \sum_{A \in \Omega} m_1(A) \max_{\omega \in A} h(\omega) = \sum_{A \in \Omega} \left[ \sum_{B \in A} m_A(B) \right] \max_{\omega \in A} h(\omega) = \sum_{B \in \Omega} \left[ \sum_{A \in \Omega} m_A(B) \right] \max_{\omega \in A} h(\omega) \geq \\
 &\geq \sum_{B \in \Omega} \left[ \sum_{A \in \Omega} m_A(B) \right] \max_{\omega \in B} h(\omega) = \sum_{B \in \Omega} m_2(B) \max_{\omega \in B} h(\omega) = E^*(h/m_2).
 \end{aligned}$$

ანალოგიურად მტკიცდება მე-2 უტოლობაც.

**შტაქცევა ულვაზა 8.** ვთქვათ  $m_1$  და  $m_2$  ნებისმიერი ორი საე-ია  $\Omega$ -ზე,  $h: \Omega \rightarrow R$  რაიმე ფუნქციაა და  $\alpha \in [0,1]$ , მაშინ

$$E^*(h/\alpha m_1 + (1-\alpha)m_2) = \alpha E^*(h/m_1) + (1-\alpha)E^*(h/m_2)$$

$$E_*(h/\alpha m_1 + (1-\alpha)m_2) = \alpha E_*(h/m_1) + (1-\alpha)E_*(h/m_2)$$

**დამტკიცება.** მტკიცებულება ელემენტარულია და  $E^*$  და  $E_*$ -ს განმარტებებიდან გამომდინარეობს.

3. ბაღაყუციანიშვილისა და კრიტიკური შორეული განსაზღვრული ბარემოზი. ვთქვათ  $(\Omega, D, I, u, K)$  გადაწყვეტილების მიღების ინფორმაციული სისტემა  $(I, u) := (I_1, u_1)$  პარამეტრებით ანუ იმ პარამეტრებით, რაც მეორე პარაგრაფში იყო განხილული. ამ პარაგრაფში საუბარი გვექნება  $K$  კრიტერიუმების შერჩევაზე, რომელიც გმპ-ის უპირატესობათა ამსახველია ზოგად განუსაზღვრულ გარემოში. როგორც აღვნიშნეთ

$$t(\bar{u}) = (E_*(\bar{u}/m), E^*(\bar{u}/m)).$$

$t$  ფუნქციის შესახებ საუბარი იყო წინა პარაგრაფში. გადაწყვეტილების მიღების  $K$  კრიტერიუმის განსაზღვრისათვის საჭიროა  $\varphi = h \circ t$  კომპოზიციის აგება. ახლა  $h: R^2 \rightarrow R^1$  ფუნქციის შესახებ, რომელიც (2)-დან გამომდინარე  $K$  კრიტერიუმის აგების ბოლო რგოლს წარმოადგენს.

შევნიშნოთ, რომ გარკვეული მოსაზრებიდან გამომდინარე  $E_*(\bar{u}/m)$  შეიძლება განვიხილოთ როგორც მათემატიკური მოლოდინი  $u$  სარგებლიანობის ფუნქციისა  $d_1$  გადაწყვეტილებაზე. თუ ალბათურ განაწილებად  $2^Q$ -ზე ავიღებთ  $m$ -ს, ხოლო ყოველ  $A \subset \Omega$ -ზე კი  $u$ -ს მინიმალურ მნიშვნელობას. მას შეიძლება პესიმისტური მათემატიკური მოლოდინი ვუწოდოთ. ანალოგიურად,  $E^*(\bar{u}/m)$  შეიძლება განვიხილოთ, როგორც მათემატიკური მოლოდინი  $u$  სარგებლიანობის ფუნქციისა  $d_1$  გადაწყვეტილებაზე იმ ალბათურ განაწილების მიმართ, რომელიც მიიღება  $m$  ფოკალური ალბათობიდან  $2^Q$ -ზე, ხოლო  $u$ -ს როლში აღებულია მისი მაქსიმალური მნიშვნელობები ყოველ  $A \subset \Omega$  ფოკალურ სიმრავლეზე. მას შეიძლება ოპტიმისტური მათემატიკური მოლოდინი ვუწოდოთ:

$E_*(\bar{u}/m)$  პესიმისტური მოსალოდნელი სარგებლიანობაა  $d_1$  გადაწყვეტილებაზე,  $E^*(\bar{u}/m)$  კი ოპტიმისტური მოსალოდნელი სარგებლიანობაა  $d_1$  გადაწყვეტილებაზე. გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით,  $E_*(\bar{u}/m)$ ,

$E^*(\bar{u}_i / m)$  წველი აღნიშნავს  $d_i$  გადაწყვეტილებაზე გმპ-ის სარგებლიანობის უარეს და საუკეთესო მოსალოდნელი რეზულტატებს რაიმე  $m$  ფოკალურ ალბათობასთან მიმართებაში.

ახლა განვიხილოთ შემდეგ 2 მონაცემთა ტანი:

**მტკიცება 9.** თუ მონაცემთა ტანი სრული უკოდინრობის ტანია, ე.ი. მისი ფოკალური ალბათობა  $m_0$  ასეთია

$$m_0(A) = \begin{cases} 1, & A = \Omega \\ 0, & A \neq \Omega \end{cases}$$

მაშინ,

$$E_*(\bar{u}_i / m_0) = \min_j \bar{u}_i = \min_j \{u_{i1}, u_{i2}, \dots, u_{in}\}, \quad E^*(\bar{u}_i / m_0) = \max_j \bar{u}_i = \max_j \{u_{i1}, u_{i2}, \dots, u_{in}\}.$$

მტკიცება მარტივია და მას აქ არ მოვიყვანთ.

**მტკიცება 10.** თუ მონაცემთა ტანი ალბათურია  $((\mathcal{V}_1, m_p)$ -წარმოადგენს დისონანტურ ტანს), ე.ი.  $m$  წარმოადგენს ალბათურ განაწილებას  $\Omega$ -ზე ( $m = m_p$ ), მაშინ

$$E_*(\bar{u}_i / m_p) = E^*(\bar{u}_i / m_p) = E(\bar{u}_i). \quad (14)$$

აქც მტკიცება ტრივიალურია.

ცხადი ხდება, რომ სრული უკოდინრობის მონაცემთა ტანი და ალბათურ მონაცემთა ტანი ეს ის ორი ექსტრემალური პოლუსებია, რომელთა შორის სპექტრალურად განლაგდება ჩართვის აზრით ნებისმიერ მონაცემთა ტანი, რომელიც ატარებს  $I$  ინფორმაციას  $\Omega$ -ს ელემენტთა განაწილებაზე. ეს ყველაფერი აისახება შემდეგ მტკიცებულებაში:

**მტკიცება 11.** თუ მოცემულია  $(\mathcal{V}_1, m_1) \subset (\mathcal{V}_1, m_2)$  ორი ტანი ( $m_1 \subset m_2$ ), მაშინ ნებისმიერი  $d_i$  გადაწყვეტილებაზე,  $\bar{u}_i$  სარგებლიანობის ვექტორისთვის სამართლიანია შემდეგი ჩართვა:

$$(E_*(\bar{u}_i / m_2), E^*(\bar{u}_i / m_2)) \subset (E_*(\bar{u}_i / m_1), E^*(\bar{u}_i / m_1)). \quad (15)$$

